ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 31/05

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ – მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის შორის

ქ. თბილისი "22" აპრილი 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი") წარმოდგენილი მისი რექტორის გიორგი შარვაშიძის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ – „მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი" (შემდგომში - „ინსტიტუტი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან ბიბილაშვილის სახით (შემდგომში - „მხარეები"), ვისწრაფვით რა ურთიერთობის შემდგომი გაღვივთარებასა და განმტკიცებისკენ, ვიღებთ რა მხედველობაში სამეცნიერო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, ვაცნობიერებთ რა ქართული სამეცნიერო სკოლების სწავლების ტრადიციებსა და მიღწევებს, ახალგაზრდა თაობების განათლების სფეროში საუნივერსიტეტო და სამეცნიერო კვლევითი ერთეულების მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას ვდებთ შეთანხმებას შემდეგზე:

მუხლი 1

თანამშრომლობის საგანს წარმოადგენს უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი და ინოვაციური სამუშაოების განახორციელება განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ორმხრივი ინტერესების ფარგლებში.

მუხლი 2

უნივერსიტეტი და ინსტიტუტი გაცვლიან გამოცდილებას კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადების, სტუდენტთა თანამედროვე პროგრამების შესწავლით მაღალი დონის სპეციალისტად ჩამოყალიბების და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოცემის სფეროებში.

მუხლი 3

1. მხარეები ზემოთაღნიშნული მიზნების მისაღწევად თანხმდებიან შემდეგზე:

ა) უზრუნველყოფენ სტუდენტური პროგრამების (ლაბორატორიულ/პრაქტიკულ/სემინარულ და სადიპლომო/სადოქტორო) განხორციელებას ინსტიტუტის ბაზაზე, ადამიანური რესურსების გამოყენებით;

ბ) შესაძლებლობის ფარგლებში ინსტიტუტი გამონახავს დაფინანსების წყაროებს უცხოეთში საკონფერენციო კონკურსებში გამარჯვებული სტუდენტებისთვის, სამუშაო მეხვედრების, საერთაშორისო სემინარებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობისა და სტუდენტური პროგრამების განხორციელებისათვის, რომელთა მიზანი იქნება საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა;

გ) ერთობლივი სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მიზნით უზრუნველყოფენ ერთობლივი საგრანტო განცხადების წარდგენას სახელმწიფო–სამეცნიერო/საერთაშორისო გრანტების მოსაპოვებლად;

დ) უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სტუდენტთა და ინსტიტუტის მიერ რეკომენდებულ ახალგაზრდა პრაქტიკანტთა წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ჩართვას, მათი შესაბამისი დარგის კადრებად მომზადების მიზნით;

ე) უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური უბნებისა და ინფრასტრუქტურის სათანადო დონეზე ფუნქციონირებას სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების ჩასატარებლად;

ვ) აუცილებლობის შემთხვევაში ურთიერთმომსახურეობისა და ფინანსური მხარდაჭერის სამართლებრივი რეგულაცია განხორციელდება ცალკე ხელშეკრულების საფუძველზე.

2. კვალიფიციური კადრების ერთმანეთისთვის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად, წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე განხორციელებად მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის (ანაზღაურებადი შრომითსამართლებრივი ურთიერთობის დამყარება) მიზნებისათვის მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ უნივერსიტეტში დასაქმებულ პირზე - აკადემიურ პერსონალზე არ გავრცელდება მათთვის მხარეების მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა ან/და შრომითი ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვები.

3. წინამდებარე მემორანდუმი არ იწვევს მხარეებს შორის თანამშრომლობის მიზნით ამ მემორანდუმის ძალაში შესვლამდე დადებული (არსებული) ორმხივი აქტების (მემორანდუმი, შეთანხმება და სხვა) მოქმედების შეწყვეტას.

მუხლი 4

1. თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და სფეროები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ცალკე ხელშეკრულებით.

2. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული კონკრეტული აქტივობების განხორციელება, განისაზღვრება დამატებითი წერილობითი მხარეთაშორის შეთანხმებით და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 5

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია მეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუხლი 6

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაიჭრება მემორანდუმის მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 7

წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი (2) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 8

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე.

3. წინამდებარე მემორანდუმის მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი ფორმით წინასწარ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ინფორმირების გზით.

მხარეთა ხელმოწერები

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი – 204864548

რექტორი

გიორგი შარვაშიძე

სსიპ – „მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი"
საიდენტიფიკაციო კოდი – 202466303

დირექტორი

ამირან ბიბილაშვილი